European Federation of National Institutions for Language

ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაცია (EFNIL) აცხადებს კონკურსს 2025 წლის საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომების გმოსავლენად

ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაცია (EFNIL) ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომების დასაჯილდოებლად.

კონკურსის მიზანია ევროპის მასშტაბით ენის გამოყენების, ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი მრავალფეროვნების თემებზე შექმნილი საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომების გამოვლენა.

კონკურსის მეექვსე ეტაპი წარმატებით დასრულდა ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც ავსტრიაში გაიმართა 2025 წელს და დაჯილდოვდა სამი გამარჯვებული.

ეს ჯილდო დაფუძნდა ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) საქმიანობის წარმოსაჩენად და გასაძლიერებლად, აგრეთვე ორგანიზაციის აკადემიურ სამყაროსთან ურთიერთობების გაფართოების მიზნით, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, პერსპექტიული მკვლევრების მხარდაჭერისათვის.

ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაცია (EFNIL) მიმართავს ფართო საზოგადოებას მხარდაჭერის თხოვნით, რათა ხელი შეუწყოს სამაგისტრო ნაშრომთა კონკურსის პოპულარიზაციას აკადემიურ ქსელებსა და სტუდენტურ ორგანიზაციებში. ორგანიზაცია გაავრცელებს განცხადებას შესაბამის ევროპულ სტრუქტურებში, მათ შორის ევროპის ერაზმუსის პროგრამისა და სხვა სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში კონკურსის ცნობადობის გაზრდის მიზნით.

დაჯილდოება

სამი საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომის ავტორს გადაეცემა შემდეგი სახის ჯილდოები:

- ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) ფულადი ჯილდო — 1,500 ევრო;
- მოწვევა ნაშრომის წარდგენისათვის ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) 2026 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე (მგზავრობისა და მონაწილეობის ყველა ხარჯის დაფარვით);
- გამარჯვებული სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე შექმნილი სტატია გამოქვეყნდება ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) ყოველწლიური კონფერენციის კრებულში;
- გამარჯვებული სამაგისტრო ნაშრომი სრულად გამოქვეყნდება ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) ოფიციალურ ვებსაიტზე: www.efnil.org

---

საკონკურსო თემატიკა:

- ენის გამოყენება მრავალენოვან გარემოში;
- ენობრივი ტექნოლოგიები და მრავალენოვნება;
- ენობრივი პოლიტიკის მიზნები და შედეგები;
- ენობრივი პოლიტიკის შედარებითი კვლევები;
- ენის სწავლების სტრატეგიები;
- თარგმნა და ინტერპრეტაცია.

ნაშრომის კვლევის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ევროპული ენა. ნაშრომი უნდა იყოს დაწერილი ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) წევრი ქვეყნების ოფიციალური ენებიდან ერთ-ერთზე. უპირატესობა მიენიჭება ნაშრომებს, რომლებშიც განხილულია/გაანალიზებულია პოლიტიკური მოვლენები და ენობრივ პოლიტიკა.

გამარჯვებულთა შერჩევა

ნაშრომებს შეაფასებს სპეციალური ჟიური შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ნაშრომის აკადემიური შინაარსი;
- უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული შეფასება;
- ნაშრომის 3–5 გვერდიანი რეზიუმე;
- ნაშრომის ხელმძღვანელის რეკომენდაცია.

ჟიურის შემადგენლობას განსაზღვრავს ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) აღმასრულებელი კომიტეტი.

კონკურსის მონაწილეობის პირობები

მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები ელექტრონულ ფორმატში:

- სამოტივაციო წერილი (ერთი გვერდი, ინგლისურ ენაზე);
- ნაშრომის ასლი (ევროპის რომელიმე ეროვნულ ენაზე);
- ნაშრომის დასკვნითი ნაწილი (3–5 გვერდი, ინგლისურად);
- ნაშრომის შეფასების ასლი, შესრულებული იმ ევროპულ უნივერსიტეტში, რომელშიც ნაშრომი წარდგენილია (ევროპის რომელიმე ეროვნულ ენაზე);
- რეკომენდაცია ნაშრომის ხელმძღვანელისგან (ინგლისურად).

ყველა დოკუმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი PDF-, ODF- ან WORD-ფორმატით და გაგზავნილი ელფოსტის მიამართზე: **efnil@nytud.hu**

კონკურსის შედეგების შეტყობინება

გამარჯვებულებს შედეგებს წარდგენის ვადის დასრულებიდან ხუთი თვის ვადაში შეატყობინებენ. მათი სახელები გამოქვეყნდება ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) ოფიციალურ ვებგვერდზე. გამარჯვებულებს ნაშრომის წარდგენისათვის მიიწვევენ ყოველწლიურ ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის კონფერენციაზე (სექტემბერი/ოქტომბერი), შემდეგ შესაძლებლობა ექნებათ გამოაქვეყნონ სტატია კონფერენციის კრებულში. დამატებით, გამარჯვებულებს მიეცემათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ ნაშრომი სრულად ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) ვებგვერდზე.

წარმოსადგენი ნაშრომების ვადები

საკონკურსო სამაგისტრო ნაშრომების წარდგენის ბოლო ვადაა **2026 წლის 15 იანვარი.** მიიღება მხოლოდ ის ნაშრომები, რომლებიც შეფასებულია ევროპული უნივერსიტეტის მიერ 2025 წელს და წარმოდგენილია არაუგვიანეს 15 იანვრისთვის.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) მდივნებს ელექტრონული ფოსტით: **efnil@nytud.hu**

ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაციის (EFNIL) შესახებ

ეროვნული ენობრივი ინსტიტუციების ევროპული ფედერაცია (EFNIL) არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის წევრი და ასოცირებული ქვეყნების უმთავრეს ენობრივ ორგანიზაციებსა და სხვა ეროვნულ ენობრივ ინსტიტუციებს.

ფედერაციის მიზანია, ხელი შეუწყოს ევროპული ენობრივი მრავალფეროვნების დაცვასა და განვითარებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ევროკავშირის ეროვნულ ენებს.

ფედერაციის მიზნები:

- ხელი შეუწყოს ევროპული ენობრივ მრავალფეროვნებას, როგორც კულტურული სიმდიდრის შენარჩუნებისა და გაღრმავების, ასევე საერთო ევროპული იდენტობის განმტკიცების საშუალებას;
- თითოეულ წევრ ქვეყანაში მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ენებს, როგორც ენობრივი შესაძლებლობების მთავარი გარანტს;
- მხარი დაუჭიროს ენობრივი ინსტიტუციებს როგორც ენობრივი პოლიტიკის საკონსულტაციო ორგანოებს;
- ხელი შეუწყოს ენობრივ ინსტიტუციებს შორის ერთობლივი ევროპული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და განხორციელებას.
- წაახალისოს თითოეულ წევრ ქვეყანაში შემდეგი მიმართულები:
    - ეროვნული ენის/ენების სწავლება ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე, რათა მოქალაქეებმა განივითარონ წერითი და ზეპირი კომპეტენცია;
    - უცხო ენების სწავლების უზრუნველყოფა სასკოლო სისტემაში საერთო ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან;
    - ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის შესაძლებლობის შექმნა, რომ შეისწავლონ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენა, სადაც ცხოვრობენ, და შეინარჩუნონ მშობლიური ენის ცოდნა;
    - სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების განვითარება ევროკავშირის ფარგლებში.